



არსიანის და აჭარა-შავშეთის ქედების ეთნობოტანიკური კვლევის შედეგები

დარჩიძე მაია¹, ხარაზიშვილი დავით², ვარშანიძე ნათელა³, მემიაძე ნინო⁴, დიასამიძე
ინგა⁵

¹დოქტორანტი, ბათუმი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, e-mail: maiadarchidze89@gmail.com, ²ბიოლოგიის დოქტორი,
ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, e-mail:

davit.kharazishvili@gmail.com, ³ბიოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, e-mail:

natela.varshanidze@gmail.com, ⁴ბიოლოგიის დოქტორი, ბათუმის ბოტანიკური ბაღის ადგილობრივი
ფლორის და კონსერვაციის განყოფილების უფროსი e-mail: ninovaja@gmail.com, ⁵ბიოლოგიის
დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი e-mail: inga_diasamidze@yahoo.com.

აბსტრაქტი

სტატიაში წარმოდგენილია 2022-2023 წლებში არსიანის და აჭარა-შავშეთის
ქედებზე, ზ.დ. 1800-2300 მ სიმაღლეზე, ჩირუხის, მაჭარელათის, სარი-ჩაირის,
წიფლნარის, შუამთის და თეთრობის იალაღებზე განხორციელებული
ეთნობოტანიკური კვლევის შედეგები. აღნიშნული იალაღების მოსახლეობაში ჯერ
კიდევ შემორჩენილია ტრადიციული ეთნობოტანიკური ცოდნა, რომელიც
მოწყვლადია და დროთა განმავლობაში იკარგება. კვლევისათვის გამოყენებული იყო
ეთნობოტანიკური გამოკითხვის და ინტერვიუს ჩაწერის მეთოდი წინასწარ
შედგენილი კითხვარით. გამოიკითხა 59 ადამიანი (42 ქალი, 17 მამაკაცი).
მონაწილეების შერჩევისას ვცდილობდით დაგვეცვა ბალანსი ასაკობრივ ჯგუფებს
შორის (20-88 წ.). მაგრამ მონაწილეთა უმრავლესობა 35 წელზე უხნესი იყო, უმეტესად
50-70 წლის. გამოიკითხა 20-25 წლის რესპონდენტებიც, რომლის საფუძველზეც ირკვევა,
რომ ამ თაობაში ცოდნა თითქმის დაკარგულია. კვლევის შედეგად ჩაიწერა
ინფორმაცია 22 ოჯახის, 41 გვარის, 47 ველურ სახეობაზე. მათ შორის ხე - 3, ხე-ბუჩქი -
2, ბუჩქი - 6, ნახევრადბუჩქი - 1, ბუჩქ-ბალახი - 1, ბალახი 34, აქედან წიწვოვანი ხე - 2,

ფოთოლმცვენი ხე - 1, ფოთოლმცვენი ხე-ბუჩქი - 1, მარადმწვანე ხე-ბუჩქი - 1, ფოთოლმცვენი ბუჩქი - 6, მრავალწლოვანი ნახევრადბუჩქი - 1, მრავალწლოვანი ბუჩქ-ბალახი - 1, მრავალწლოვანი ბალახი - 30, ორ-მრავალწლოვანი ბალახი - 1, ორწლოვანი ბალახი - 1, ერთწლოვანი ბალახი - 2. საკვლევ ტერიტორიებზე მოიაღერების მიერ სამკურნალოდ გამოიყენება - 35, საკვებად - 15, ტექნიკური მიზნით 3 სახეობა. შესწავლილ მცენარეებს შორის კავკასიის ენდემია - 6, საქართველოს - 2 სახეობა, საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცულია - 2, საერთაშორისო „წითელი ნუსხით“ (IUCN) კი 14 სახეობა.

საკვანძო სიტყვები: ტრადიციული ცოდნა - ეთნობოტანიკა, სამკურნალო სახეობა, ენდემი.

მასალა და მეთოდები

კვლევისათვის გამოვიყენეთ მარშრუტული ექსპედიციის, წინასწარ შედგენილი კითხვარით ეთნობოტანიკური გამოკითხვის და ინტერვიუს ჩაწერის მეთოდი. საველე სამუშაოები ჩატარდა 2023 წლის ივნის-სექტემბერში. წინასწარი სიტყვიერი ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ გამოიკითხა 59 მონაწილე. ბალანსის დაცვის მიზნით გამოიკითხა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი (20-88 წ.) და სქესი (42 ქალი, 17 მამაკაცი). ყველა გამოკითხვა ჩატარდა ძირითადად მონაწილეთა სახლებში, ეზოებსა და ზოგჯერ ველადაც, იქ სადაც ამა თუ იმ სახეობის მცენარეს აგროვებდნენ. მცენარეთა სახეობების რკვევა-იდენტიფიკაციისათვის შეგროვდა საჰერბარიუმო მასალა, რომელიც კამერალურად დამუშავდა და ინახება ბათუმის ბოტანიკურ ბაღის ჰერბარიუმის ფონდში. სახეობათა რკვევისთვის გამოვიყენეთ საქართველოს მცენარეთა სარკვევი (1964-1969 წ.წ.), საქართველოს ფლორა (1971-2011) და აჭარის მცენარეების სარკვევი (Дмитриева, 1990). მცენარეების ლათინური დასახელებები მოყვანილია <https://www.worldfloraonline.org> მიხედვით, ქართული სახელწოდებები მოყვანილია მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონის მიხედვით (1991).

შესავალი

აჭარა საქართველოს ისტორიული მხარეა, რომელიც განლაგებულია მცირე კავკასიონის დასავლეთში. კვლევა განხორციელდა არსიანის და შავშეთის ქედებზე, რომლებიც თავის მხრივ მცირე კავკასიონის აჭარა-თრიალეთის მთათა სისტემის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს. შავშეთის ქედი ქმნის წყალგამყოფს ჭოროხის მარჯვენა შენაკადებს, ერთი მხრივ, აჭარისწყლისა და მეორე მხრივ მაჭახელასა და იმერხევს შორს. უმაღლესი მწერვალია მთა ხევა (2810 მ.). არსიანის ქედი ქედი წარმოადგენს აჭარისწყლისა და ქვაბლიანის წყალგამყოფს, ე.ი. შეადგენს კასპიისა და შავი ზღვების აუზების წყალგამყოფის ნაწილს, სადაც განლაგებულია მწერვალები: კაიაბაში - 2432 მ., ზამბორი - 2420 მ., ღრმანი - 2541 მ., საყულაფერდი - 2450 მ. ამ ქედზე

რამდენიმე გადასასვლელია, მათ შორის ყველაზე ხელსაყრელია გოდერძის უღელტეხილი - 2025 მ. (ხარაზიშვილი, 2006).

მაღალმთიანი აჭარა მცენარეთა თანასაზოგადოებების დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ გვხვდება ტყის, სუბალპური და ალპური სარტყლის მცენარეულობა. ფლორის და მცენარეულობის ღრმად შეცნობა ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენების საფუძველია, ამიტომ მას ხანგრძლივი წარსული აქვს (მემიაძე, 1971).


სამხრეთ კოლხეთში, კერძოდ აჭარაში, მცენარეთა გამოყენებას ოდითგანვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. აქ ჯერ კიდევ შემონახულია ტრადიციული ეთნობოტანიკური ცოდნა, რომელიც მოწყვლადია და მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილშიღაა შემორჩენილი (სალუქვაძე, 1987, ბიძინაშვილი 2011, 2021). ჩვენი კვლევის მიზანია მოსახლეობაში არსებული ეთნობოტანიკური ცოდნის შეგროვება და დოკუმენტირება.

ეთნობოტანიკური კვლევა მაღალმთიანი აჭარის, კერძოდ არსიანის და შავშეთის ქედების იალაღებზე: ჩირუხში, სარი-ჩაირში, მაჭარელათში, წიფლნარში, შუამთაში და თეთრობზე ჩავატარეთ. გამოიკითხა მოიალადე 59 ადამიანი, წინასწარი თანხმობის შემდეგ. ჩავიწერეთ მოსახლეობის მიერ გამოყენებული ველური ფლორის სახეობების შესახებ ინფორმაცია (Bussmann, et all., 2020). ჩვენს მიერ აღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მოსახლეობა ველურად მოზარდ მცენარეებს საკვებ, სამკურნალო, ტექნიკური (საშეშე, სამშენებლო, საცოცხედა ა.შ.) დანიშნულებით იყენებს. ჩავწერეთ ასევე მოსახლეობაში გავრცელებული ველური მცენარეების ადგილობრივი სახელწოდებები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა ლიტერატურულს. გამოკითხული ადამიანების უმრავლესობა 35 წელზე უხნესი იყო, უმეტესად 50-70 წლის, თუმცა გამოიკითხა 20-25 წლის რესპოდენტებიც. აქედან გამომდინარე ირკვევა რომ, მცენარეთა შესახებ ტრადიციული ეთნობოტანიკური ცოდნა შედარებით ასაკოვან თაობაშია შემორჩენილი, ახალგაზრდებში ეს ცოდნა თანდათან იკარგება. სწორედ ამიტომ აუცილებელია ამ ცოდნის შენარჩუნება, დაცვა და დაინტერესებული მომავალი თაობებისთვის გადაცემას, რაც ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანია.

შედეგები

საკვლევ რეგიონში სულ აღირიცხა მოსახლეობის მიერ გამოყენებული ველური ფლორის 22 ოჯახის, 41 გვარის, 47 სახეობა. მათ შორის ხე - 3, ხე-ბუჩქი - 2, ბუჩქი - 6, ნახევრადბუჩქი - 1, ბუჩქ-ბალახი - 1, ბალახი 34 , აქედან წიწვოვანი ხე - 2, ფოთოლმცვენი ხე - 1, ფოთოლმცვენი ხე-ბუჩქი - 1, მარადმწვანე ხე-ბუჩქი - 1, ფოთოლმცვენი ბუჩქი - 6, მრავალწლოვანი ნახევრადბუჩქი - 1, მრავალწლოვანი ბუჩქ-

ბალახი - 1, მრავალწლოვანი ბალახი - 30, ორ-მრავალწლოვანი ბალახი - 1, ორწლოვანი ბალახი - 1, ერთწლოვანი ბალახი - 2 (დიაგრამა 1.).




დიაგრამა 1. გამოყენებული სახეობების სასიცოცხლო ფორმები

ჩაწერილ სახეობათა შორის სამკურნალოდ გამოიყენება 35 სახეობა, საკვებად 15 და ტექნიკური მიზნით (საშეშედ, სამშენებლოდ და საცოცხედ) 3 სახეობა, (იხ. დიაგრამა 2., ცხრილი 1).

შესწავლილ მცენარეებს შორის კავკასიის ენდემია - 6 (*Picea orientalis*, *Campanula lactiflora*, *Ribes biebersteinii*, *Abies nordmanniana*, *Allium pseudostrictum*, *Caucasalia pontica*), საქართველოს - 2 სახეობა (*Campanula glomerata*, *Cirsium imereticum*) (Memiadze, et all. 2004).

საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცულია - 2 (*Laurus nobilis*, *Ostrya carpinifolia*), საერთაშორისო „წითელი ნუსხით“ (IUCN) კი 14 სახეობა (*Urtica dioica*, *Plantago major*, *Picea orientalis*, *Veronica beccabunga*, *Bidens tripartita*, *Ostrya carpinifolia*, *Laurus nobilis*, *Corylus avellana*, *Mentha longifolia*, *Mentha pulegium*, *Cirsium imereticum*, *Achillea millefolium*, *Abies nordmanniana*, *Trifolium pratense*), დაცულობის სტატუსით LC (საჭიროებს ზრუნვას) <https://www.iucnredlist.org/>.



დიაგრამა 2. მცენარეთა განაწილება გამოყენების მიხედვით

ცხრილი 1. მაღალმთიან აჭარაში გამოყენებული ველური ფლორის მცენარეები

ოჯახი	ლათინური სახელი	ქართული სახელი	ადგილობრივი სახელი	გამოყენება	გამოყენებული ნაწილი	შეგროვების ადგილი	შეგროვების დრო
Amaranthaceae	<i>Amaranthus retroflexus</i> L.	ჩვეულებრივი ჯიჯლავა	შავმზალა	საკვები	ფოთოლი	ჭალები	ივნისი-აგვისტო
Amaryllidaceae	<i>Allium pseudostrictum</i> Albov	აჭარული ხახვი	ჭლაკვა	საკვები	ღერო, ფოთოლი, ყვავილი, ფესვი	მდელოები	ივლისი-აგვისტო
Apiaceae	<i>Astrantia maxima</i> Pall.	დიდი ვარსკვლავა		სამკურნალო	ღერო, ფოთოლი, ყვავილი	მდელოები	ივლისი-აგვისტო
Asparagaceae	<i>Scilla monanthos</i> K.Koch	ვინოგრადოვის ცისთვალა	ოლენა	საკვები	ღერო, ფოთოლი, ყვავილი	მდელოები, ტყისპირები	ივნისი
Asteraceae	<i>Helichrysum graveolens</i> (M.Bieb.) Sweet	ნეგო	უკვდავა	სამკურნალო	ყვავილი	მდელოები	ივნისი-აგვისტო
Asteraceae	<i>Helichrysum plicatum</i> subsp. <i>polyphyllum</i> (Ledeb.) P.H.Davis & Kupicha	მრავალფოთოლა ნეგო	ნეგო	სამკურნალო	ყვავილი	მდელოები	ივნისი-აგვისტო
Asteraceae	<i>Arctium palladinii</i> (Marcow.) Grossh.	ოროვანდი	ხოზიკა	სამკურნალო	ღერო, ფოთოლი, ყვავილი	მდელოები, ტყისპირები	ივნისი-ივლისი
Asteraceae	<i>Bidens tripartita</i> L.	ორკბილა	ხოზიკა	სამკურნალო	ღერო, ფოთოლი, ყვავილი	მდელოები	ივლისი-სექტემბერი
Asteraceae	<i>Cirsium imereticum</i> Boiss.	ნარი	ნარა	სამკურნალო	ღერო, ფოთოლი, ყვავილი	მდელოები, ტყისპირები	ივნისი-აგვისტო
Asteraceae	<i>Achillea millefolium</i> L.	ფარსმანდუკი	ფარსმანდუკი	სამკურნალო	ყვავილი, ფოთოლი	მდელოები	ივნისი-აგვისტო
Asteraceae	<i>Gnaphalium sylvaticum</i> L.	ტყის ბერულა	სვინტრი	სამკურნალო	ყვავილი	მდელოები, ტყისპირები	ივნისი-აგვისტო
Asteraceae	<i>Taraxacum officinale</i> F.H.Wigg.	სამკურნალო ბურბუშელა	ბაბუაწვერა	სამკურნალო	ღერო, ფოთოლი, ყვავილი, ფესვი	მდელოები, გზისპირები	აპრილი-ივლისი
Asteraceae	<i>Caucasalia pontica</i> (K.Koch) Greuter	ხარიშუბლა	ხბოშუბლა	სამკურნალო	ღერო, ფოთოლი, ყვავილი, ფესვი	მდელოები, ტყისპირები	ივლისი-აგვისტო
Betulaceae	<i>Ostrya carpinifolia</i> Scop.	უხრავი	უხრავი	ტექნიკური	ღერო	ტყე	

Betulaceae	<i>Corylus avellana</i> L.	ჩვეულებრივი თხილი	დათვათხილა	სამკურნალო	ფოთოლი	ტყე	ივნისი-ივლისი
Boraginaceae	<i>Trachystemon orientalis</i> D.Don	ანჩხლა	სარო	სამკურნალო	ფოთოლი	ტყე	აპრილი-მაისი
Campanulaceae	<i>Campanula lactiflora</i> M. Bieb.	კენკეშა	დონდოლო	საკვები	ფოთოლი	მდელოები	ივნისი-აგვისტო
Campanulaceae	<i>Campanula glomerata</i> L.	დილხამი	ჭარბადელო	საკვები	ღერო, ფოთოლი, ყვავილი	მდელოები	მაისი-აგვისტო
Colchicaceae	<i>Colchicum umbrosum</i> Steven	სათოვლია	სათოვლია	სამკურნალო	ყვავილები	მდელოები	აგვისტო- სექტემბერი
Ericaceae	<i>Vaccinium arctostaphylos</i> L.	მაღალი მოცვი	მოცვი	საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ნაყოფი	ტყე	აგვისტო
Ericaceae	<i>Vaccinium uliginosum</i> L.	ღურჯი მოცვი	მიწამოცვა	საკვები, სამკურნალო	ფოთოლი, ნაყოფი	მდელოები	სექტემბერი
Fabaceae	<i>Trifolium pratense</i> L.	წითელი სამყურა	სამყურა	სამკურნალო	ყლორტი	მდელოები, ტყისპირები	მაისი- სექტემბერი
Gentianaceae	<i>Gentiana septemfida</i> Pall.	შვიდნაკვთიანი ნაღველა	მაიასირის ბალახი	სამკურნალო	ღერო, ფოთოლი, ყვავილი	მდელოები	აგვისტო
Grossulariaceae	<i>Ribes biebersteinii</i> Berland. ex DC.	კლდის მოცხარი	მერცხალა	საკვები	ნაყოფი	მდელოები	აგვისტო
Lamiaceae	<i>Thymus transcaucasicus</i> Ronniger	ამიერკავკასიური ბეგექონდარა, ბეგექონდარა	კორდის ჩაი, თირკმლის ჩაი	სამკურნალო	ღერო, ფოთოლი, ყვავილი	მდელოები	ივნისი-აგვისტო
Lamiaceae	<i>Satureja spicigera</i> Boiss.	ონჭო	ქონდარი	სამკურნალო	ღერო, ფოთოლი, ყვავილი	კლდოვანი ფერდობები	ივლისი-აგვისტო
Lamiaceae	<i>Origanum vulgare</i> L.	თავშავა	მარმუჭი	საკვები	ღერო, ფოთოლი, ყვავილი	მდელოები	ივლისი-აგვისტო
Lamiaceae	<i>Clinopodium grandiflorum</i> Kuntze	მთის პიტნა	კაპლიბალახა	სამკურნალო	ღერო, ფოთოლი, ყვავილი	მდელოები	ივნისი-აგვისტო
Lamiaceae	<i>Mentha longifolia</i> (L.) L.	ტყის პიტნა	პიტნა	სამკურნალო, საკვები	ღერო, ფოთოლი, ყვავილი	ტყისპირები, მდელოები	ივლისი- სექტემბერი
Lamiaceae	<i>Mentha pulegium</i> L.	ომბალო	ომბალო	საკვები	ღერო, ფოთოლი, ყვავილი	ტყე	ივლისი- სექტემბერი

Lauraceae	<i>Laurus nobilis</i> L.	დაფნა	დაფნა	სამკურნალო	ფოთოლი	ტყე	-
Papaveraceae	<i>Chelidonium majus</i> L.	ქრისტესისხლა	ქრისტესისხლა	სამკურნალო	ყლორტი	რუდერალური ი ადგილები	მაისი-აგვისტო
Pinaceae	<i>Picea orientalis</i> (L.) Peterm.	აღმოსავლური ნაძვი	ნაძვი	ტექნიკური, სამკურნალო	მერქანი, ფისი	ტყე	ივლისი-აგვისტო
Pinaceae	<i>Abies nordmanniana</i> (Steven) Spach	კავკასიური სოჭი	სოჭი	სამკურნალო, ტექნიკური	წიწვები	ტყე	-
Plantaginaceae	<i>Plantago major</i> L.	მრავალძარღვა	ბელაძარღვა	სამკურნალო	ღერო, ფოთოლი, ყვავილი	მდელოები	მაისი- სექტემბერი
Plantaginaceae	<i>Veronica beccabunga</i> L.	ჩაღანდრი	ჯიხანდარი	სამკურნალო	ღერო, ფოთოლი, ყვავილი	არხები, ნაკადულები	მაისი-ივლისი
Polygonaceae	<i>Polygonum carneum</i> K.Koch	დვალურა	დვალურა	სამკურნალო, საკვები	ფოთოლი	მდელოები	ივნისი-აგვისტო
Polygonaceae	<i>Polygonum aviculare</i> aggr.	ჩვეულებრივი მატიტელა	მატიტელა	სამკურნალო	ღერო, ფოთოლი, ყვავილი	გზისპირები, მდელოები	ივნისი- სექტემბერი
Polygonaceae	<i>Rumex alpinus</i> L.	ღვალო	ღოლო	სამკურნალო	თესლი	მდელოები	ივნისი-აგვისტო
Rosaceae	<i>Alchemilla caucasica</i> Buser	მარმუჭი		სამკურნალო	ღერო, ფოთოლი, ყვავილი	მდელოები	ივნისი-აგვესიტო
Rosaceae	<i>Geum urbanum</i> L.	ნიგვზისძირა	მარიამხელა	სამკურნალო	ღერო, ფოთოლი, ყვავილი	მდელოები	მაისი-ივნისი
Rosaceae	<i>Rosa canina</i> L.	ასკილი	ასკილი	სამკურნალო	ნაყოფი	ტყე	სექტემბერი
Rosaceae	<i>Rubus caucasicus</i> Focke	კავკასიური მაყვალი	მაყვალი	საკვები	ნაყოფი	ტყე	ივლისი
Rosaceae	<i>Rubus idaeus</i> L.	ჟოლო	მალინა	სამკურნალო, საკვები	ნაყოფი	მდელოები	ივლისი
Rosaceae	<i>Aruncus dioicus</i> (Walter) Fernald	მეკენძალა	აჯორიკა	საკვები	ყვავილი	მდელოები, ტყისპირები	ივნისი-აგვისტო
Urticaceae	<i>Urtica dioica</i> L.	ჯინჭარი	ჯინჭარი	სამკურნალო	ღერო, ფოთოლი, ყვავილი	მდელოები, რუდერალური ი ადგილები	მაისი
Viburnaceae	<i>Sambucus ebulus</i> L.	ანწლი	ანწლი	სამკურნალო	ნაყოფი	ტყე	აგვისტო

დასკვნები

1. ცხრილი 1.-დან ჩანს, რომ: მოსახლეობაში გამოყენებული მცენარეებიდან სამკურნალოა 35 სახეობა, საკვები 15 სახეობა, ტექნიკური (სამშენებლო, საშეშე, საცოცხე) კი 3 სახეობა. გამოყენებული მცენარეებიდან ყველაზე მეტად გამოიყენება ბალახოვანი სახეობები. გამოყენების მიხედვით სამკურნალო მცენარეებზე მოდის ყველაზე მეტი პროცენტობა - 66 %, შემდეგ საკვები - 28 % და ტექნიკური 6 %. ყველაზე მეტად გამოიყენება Asteraceae ოჯახის წარმომადგენლები 9 სახეობით, შემდეგ Rosaceae – 7 სახეობით, Lamiaceae – 6 სახეობით, დანარჩენი ოჯახები წარმოდგენილია თითო-ორი სახეობით. გამოიყენება მცენარის სხვადასხვა ნაწილი: ღერო, ფოთოლი, ყვავილი, ნაყოფი, თესლი, მერქანი. მცენარის შეგროვების ადგილი ძირითადად არის მდელოები, ხოლო შეგროვების დრო გაზაფხული-ზაფხული. წარმოდგენილია მცენარის როგორც ქართული ბოტანიკური, ასევე ხალხური სახელი.
2. არსიანის და აჭარა-შავშეთის ქედების ეთნობოტანიკური კვლევის შედეგად, კერძოდ: ჩირუხის, სარი-ჩაირის, მაჭარელათის, წიფლნარის, შუამთის და თეთრობის იალაღებსა და მიმდებარე სოფლებში აღირიცხა მოსახლეობაში გამოყენებული ველური ფლორის 22 ოჯახის, 41 გვარის, 47 სახეობა.
3. სასიცოცხლო ფორმების მიხედვით ხე - 3, ხე - ბუჩქი - 2, ბუჩქი - 6, ნახევრადბუჩქი - 1, ბუჩქ-ბალახი - 1, ბალახი - 34, აქედან წიწვოვანი ხე - 2, ფოთოლმცვენი ხე - 1, ფოთოლმცვენი ხე-ბუჩქი - 1, მარადმწვანე ხე-ბუჩქი - 1, ფოთოლმცვენი ბუჩქი - 6, მრავალწლოვანი ნახევრადბუჩქი - 1, მრავალწლოვანი ბუჩქ-ბალახი - 1, მრავალწლოვანი ბალახი - 30, ორ-მრავალწლოვანი ბალახი - 1, ორწლოვანი ბალახი - 1, ერთწლოვანი ბალახი - 2.
4. კავკასიის ენდემია 6 სახეობა, საქართველოს ენდემია 2 სახეობა.
5. საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცულია 2 სახეობა.
6. საერთაშორისო „წითელი ნუსხით“ (IUCN) დაცულია 14 სახეობა.
7. მაღალმთიან აჭარის მოსახლეობაში ეთნობოტანიკური ცოდნა შემორჩენილია მხოლოდ ასაკოვნებში. ეს ცოდნა თანდათან იკარგება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიძინაშვილი რ., ერაძე ნ. „სამკურნალო მცენარეების კულტურა“, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი. 2021.
2. ბიძინაშვილი რ., „სამკურნალო მცენარეები“, (წარსული, აწმყო და მომავალი) გამომცემლობა „ბასიანი“, თბილისი. 2011
3. დარჩიძე მ., ხარაზიშვილი დ., ვარშანიძე ნ., ხუროშვილი ნ., კაზანჯი ჯ. „გოდერძის უღელტეხილის (აჭარა, საქართველო) მიმდებარე იალაღებზე ეთნობოტანიკური კვლევის

შედეგები”, ქურნალი ქართველი მეცნიერები, ტ. 6, N 1, 2024.

<https://doi.org/10.52340/gs.2024.06.01.34>.

4. **ვარშანიძე ნ.** „აჭარაში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების სახეობრივი მრავალფეროვნება”, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი. 2013.
5. საქართველოს მცენარეების სარკვევი. გამომცემლობა „მეცნიერება”, თბილისი, 1969, ტომი - II, 508 გვ.
6. **სალუქაძე ს.**, წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან XX საუკუნეები, გამომცემლობა ხელოვნება, თბილისი, 1987.
7. საქართველოს მცენარეების სარკვევი, გამომცემლობა „მეცნიერება”, თბილისი, 1964-1969, ტომი I-II.
8. საქართველოს ფლორა, გამომცემლობა „უნივერსალი”, თბილისი, 1971-2011, ტომი I-XVI.
9. **პაპუნიძე ვ.**, ხიდაშელი შ. „საქართველოს სამკურნალო მცენარეები”, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, 2014.
10. **მაყაშვილი ა.**, „ბოტანიკური ლექსიკონი”, გამომცემლობა „მეცნიერება”, თბილისი 1991.
11. **მემიაძე ვ.** „კინტრიშის ხეობის ფლორა და მცენარეულობა”, ბათუმი 1971.
12. **ხარაზიშვილი დ.**, „მდინარე ჩირუხისწყლის ხეობის (აჭარა) მაღალმთის ფლორის და მცენარეულობის მრავალფეროვნება”, დისერტაცია, 2006.
13. **ხუროშვილი ნ.**, დარჩიძე მ., კაზანჯი ჯ. „აჭარელი მლხენელები”, გამომცემლობა „ფავორიტი”, თბილისი, 2023.
14. **Дмитриева А. А.** Определитель растений аджарии, Т. I, II, „Мецниереба” Тбилиси. 1990. Т I, II.
15. **Bussmann RW., Paniagua Zambrana NY., Sikharulidze S., Kikvidze Z., Darchidze M., Manvelidze Z., Ekhvilia DJ., Kikodze D., Tchelidze D., khutsishvili M., Batsatsasvili K, Hart RE.** From the sea to the mountains – plant use in Ajara, Samegrelo and kvemo Svaneti, Sakartvelo (Republic of Georgia), Caucasus, Journal of Ethnobotany Research & application, (20:50) 2020. Doi:10.32859/era.20.09.1-34.
16. **Jakeli E., Varshnidze N., Zarnadze N., Diasamidze I., Dolidze K.** „Medical plants from the flora of ajara (south colchis) used against chronic diseases” International Health Sciences Conference (IHSC 2018), Nov. 2018 IHSC 2018. Proceeding Book.Copyright©2018. ISBN.International Engineering, Science & Education Group,. Diyarbakır,Turkey
17. **Jakeli E., Varshnidze N., Diasamidze I., Zarnadze N., Dolidze, K.** BIODIVERSITY OF MEDICINAL PLANTS OF WILD FLORA IN AJARA-SOUTH COLCHIS AND THEIR USAGE IN FOLK MEDICINE. Conference Procesing Books : ISS2018 3rd International Science Symposium “New Horizons in Science”, At Pristina, Cosovo. 2018.
18. **Manvelidze Z.K., Memiadze N.M., Charazishvili D.Sh., Varshnidze N.I.**, Diversity of a floral area of Adjara (List of wild grown plant species), Annals of agrarian science, Vol. 6, No. 2, 93. 2008. <http://agrscience.gol.ge>.
19. **Memiadze N.** Geographical and botanical Survey Colchian endemic species distributed in Adjara. Bulletin of the Georgian Academy of sciences. 170, N 1, 2004. P. 119-121.
20. www the WFO Plant List (World Flora Online)
21. [www.IUCNredlist](http://www.iucnredlist.org).

Results of ethnobotanical research of The Arsiani and Adjara-Shavsheti Ranges

Darchidze Maia, Kharazishvili Davit, Varshanidze Natela, Memiadze Nino, Diasamidze Inga
Batumi Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia
Batumi Botanical Garden, Batumi, Georgia
maiadarchidze89@gmail.com

The use of plants in Georgia has been relevant for centuries. Especially in Colchis, which is rich in valuable woody, essential oil, medicinal, tanning, food, dye, fodder and other plant resources.

In order to introduce, collect and share the existing ethnobotanical knowledge among the population, field researches were carried out on the Arsiani and Adjara-Shavsheti ranges. At an altitude of 1800-2300 m, on the summer pastures of Chirukhi, Macharelati, Sarichairi, Tsiphlnari, Shuamta and Tetrobi, in June-September of year 2022 and 2023. Traditional ethnobotanical knowledge is still preserved among the population of these areas, which is lost over time.

For the research, we used route expedition method, ethnobotanical survey with pre-made questionnaire and interview recording. Herbarium material was collected for plant species identification, which was processed and reserved in Herbarium Fund of Batumi Botanical Garden (BATU). Identification of plants, we used Identifier of plants of Georgia (1964-1969), Flora of Georgia (1971-2011) and Identifier of plants of Adjara (Dmitrieva, 1990).

As a result of the research, information was collected about 47 species that belong to 41 families and 22 genera. Among of 47 species, tree – 3, tree-shrub – 2, shrub – 6, semi-shrub - 1, shrub-grass – 1, grass – 34, of these coniferous tree – 2, deciduous tree – 1, deciduous tree-shrub – 1, evergreen tree-shrub – 1, deciduous shrub – 6, perennial shrub-grass – 1, perennial semi-shrub – 1, perennial grass – 30, Bi-perennial grass – 1, biennial grass – 1, annual grass – 2.

Medicinal - 35, food - 15, technical – 3 species.

Among of 37 species Caucasus endemic 6 species and Georgia 1 species. 2 species is protected by the "Red List" of Georgia and 14 species are protected by the International Union for Conservation of Nature (IUCN).

Key words: Traditional knowledge - Ethnobotany, Medicinal species, Endemic